# SuperFin

*(სასწავლო კურსი დამწყებთათვის)*

**სარჩევი**

შესავალი

I გაკვეთილი – ორგანიზაციის მონაცემები, ანგარიშთა გეგმა, საბუღალტრო ოპერაციები

ორგანიზაციის მონაცემები / ინსტრუქცია 00-01

ანგარიშებისა და ქვეანგარიშების დამატება / ინსტრუქცია 01-01

ანგარიშებისა და მათი საწყისი ნაშთების იმპორტი Excel ფაილიდან

საწყისი ნაშთების შეტანა ანგარიშებზე / ინსტრუქცია 01-02

საბუღალტრო ოპერაციები / ინსტრუქცია 01-03

საბუღალტრო ოპერაციების იმპორტი Excel ფაილიდან

II გაკვეთილი – მონაცემები, ანგარიშთა კავშირი მონაცემებთან (ხალხი, ბანკები, ორგანიზაციები), სალაროს ორდერები, საგადახდო დავალებები

ბანკები / ინსტრუქცია 05-01

ხალხი / ინსტრუქცია 05-02

ორგანიზაციები / ინსტრუქცია 05-03

ავტოპარკი / ინსტრუქცია 05-04

ანგარიშზე მონაცემების დამატება / ინსტრუქცია 01-05

სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები / ინსტრუქცია 02-01

საგადახდო დავალებები / ინსტრუქცია 02-02

ბანკის ამონაწერის იმპორტი Excel ფაილიდან

III გაკვეთილი – საქონელი, საწყობები, საქონლის მიღება

საქონლისა და მასალების ჯგუფების დამატება / ინსტრუქცია 03-01

საქონლისა და მასალების ბარათების დამატება / ინსტრუქცია 03-02

საქონლის ბარათების იმპორტი Excel ფაილიდან

საწყობები / ინსტრუქცია 03-03

Rs.ge სერვისის მომხმარებელი / ინსტრუქცია 06-01

პარამეტრები

საქონლისა და მასალების მიღება / ინსტრუქცია 03-05

IV გაკვეთილი – პროდუქციის წარმოება, შიდა გადაზიდვა, რეალიზაცია

პროდუქციის წარმოება / ინსტრუქცია 03-07

შიდა გადაზიდვა და დისტრიბუცია / ინსტრუქცია 03-08

საქონლის რეალიზაცია / ინსტრუქცია 03-11

ინვენტარიზაციის უწყისი

V გაკვეთილი – ხელფასი

ხელფასის პარამეტრები / ინსტრუქცია 02-03

განყოფილებები / ინსტრუქცია 02-04

მომსახურე პერსონალი / ინსტრუქცია 02-05

მომსახურე პერსონალის იმპორტი EXCEL ფაილიდან

მომსახურე პერსონალისათვის ინდივიდუალური პარამეტრების მითითება

ხელფასის საბუთები

VI გაკვეთილი – ძირითადი საშუალებები

პასუხისმგებელი პირები / ინსტრუქცია 04-01

ძირითადი საშუალებები / ინსტრუქცია 04-03

ძირითადი საშუალების მიღება / ინსტრუქცია 04-05

ძირითადი საშუალებების ცვეთა

VII გაკვეთილი – ოპერაციის ტიპები, ანგარიშგებები

გადაფასების ოპერაციები / ინსტრუქცია 01-06

გადახურვითი ოპერაციები / ინსტრუქცია 01-07

ბალანსი და მოგება–ზარალის უწყისი / ინსტრუქცია 01-08, ინსტრუქცია 01-10

ინფორმაციის ამოღება სხვადასხვა ჭრილში

დასასრული

## შესავალი

სასწავლო კურსი განკუთვნილია პროგრამის **SuperFin** შესწავლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის. კურსის განხილვა არ მოითხოვს ბუღალტერიის ღრმად ცოდნას.

კურსი შედგენილია პრაქტიკული ამოცანის მიხედვით, სადაც განხილულია კომპანიის ერთ თვიანი პერიოდის ოპერაციები.
კომპანია იძენს მასალებს, აწარმოებს პროდუქციას და ახდენს მის რეალიზაციას, გააჩნია სალაროსა და ბანკის ოპერაციები, აღრიცხავს ხელფასსა და ძირითად საშუალებებს.

პროგრამის შესწავლის გამარტივების მიზნით, მთელი თვის ოპერაციები დაჯგუფებულია არა თარიღების მიხედვით, არამედ მსგავსების მიხედვით: საბუღალტრო ოპერაციები, სალაროს ოპერაციები, ბანკის ოპერაციები, ვაჭრობა-წარმოების ოპერაციები, ხელფასის ოპერაციები, ძირითადი საშუალებების ოპერაციები.

თითოეული საკითხი ჩამოყალიბებულია ერთიანი სტილით, შემდეგი სახით:

- სათაურს ქვევით მინიშნებულია, თუ როგორ უნდა გამოვიძახოთ საკითხის შესაბამისი ფანჯარა. მაგალითად: მინიშნება **'სწრაფი ზოლი / SuperFin / ანგარიშთა გეგმა (F9)'** ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა ფანჯარა 'ანგარიშთა გეგმა', რომლის გამოძახება შესაძლებელია 'სწრაფი ზოლის, (*ეკრანის მარცხენა მხარეს მდებარე ვერტიკალური ზოლი, საიდანაც ხდება სხვადასხვა ფანჯრებში გადასვლა*) '**SuperFin'** განყოფილებიდან (განყოფილებები მოცემულია 'სწრაფი ზოლის' ქვედა ნაწილში) 'ანგარიშთა გეგმის' პიქტოგრამაზე დაქლიქვით. ამავე ფანჯრის გამოძახება შესაძლებელია პირდაპირ **'F9'** ცხელი კლავიშის გამოყენებითაც;
- სათაურის გვერდით, მოცემულია ბმული, რომლის მეშვეობითაც იხსნება შესაბამისი ინსტრუქცია, სადაც საკითხი დეტალურად არის აღწერილი;
- აღწერა;
- პრაქტიკული სამუშაო;
- შემოწმება;
  (ზოგიერთი პრაქტიკული სამუშაოს შემდეგ, ცხრილის სახით მოცემულია ის შედეგი, რაც უნდა იქნეს მიღებული უკვე შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს საფუძველზე);

## I გაკვეთილი – ორგანიზაციის მონაცემები, ანგარიშთა გეგმა, საბუღალტრო ოპერაციები

### ორგანიზაციის მონაცემები / ინსტრუქცია 00-01

ინსტრუმენტების ზოლი / ორგანიზაციის მონაცემები (ALT+M)

აღწერა

'ორგანიზაციის მონაცემების' ფანჯარაში ივსება მისი სარეგისტარაციო მონაცემები და მიეთითება სამუშაო პერიოდი.
სამუშაო პერიოდის გახსნა–ჩაკეტვა შეუძლია 'მთ. ბუღალტრის' უფლების მქონე მომხმარებელს (იხილეთ: სერვისი/მომხმარებლები).
ჩაკეტილ პერიოდში შეუძლებელია ახალი ოპერაციის ჩატარება და არსებული ოპერაციების რედაქტირება ან წაშლა, რითაც დაცულია წინა დახურული საანგარიშო პერიოდის ინფორმაციის სიზუსტე.

პრაქტიკული სამუშაო

მიუთითეთ საბუთებში ცვლილებების შეტანის პერიოდი01/01/2025 - 31/01/2025

*ჩანართი მონაცემები*

- დასახელება – შპს „მერიდიანი"
- იურიდიული მისამართი - ვაჟა ფშაველას გამ8.N15

- ფაქტიური მისამართი - საბურთალოს.N42

*ჩანართი რეგისტრაცია*

- საიდენტიფიკაციო ნომერი - 206322102

თანხმობის ღილაკით ვასრულებთ ორგანიზაციის რეკვიზიტების შევსებას.

**ანგარიშებისა და ქვეანგარიშების დამატება / ინსტრუქცია 01-01**
სწრაფი ზოლი / SuperFin / ანგარიშთა გეგმა (F9)

აღწერა

'ანგარიშთა გეგმის' ფანჯარაში იქმნება საჭირო ანგარიშები და ქვეანგარიშები. აღსანიშნავია, რომ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის სწორად ჩამოყალიბება ძირეული საკითხია, რადგანაც შემდეგში ანგარიშთა მოძრაობები და ნაშთები მიიღება შექმნილი სტრუქტურის მიხედვით.

პრაქტიკული სამუშაო

1220 ანგარიში გადააქციეთ საქაღალდედ (ქვეანგარიშების მქონედ):

დაამატეთ შემდეგი ქვეანგარიშები:

- 1220\001 – თიბისი ბანკი
- 1410\001 – შპს ივერია
- 1410\002 – შპს ლიდერი
- 1430\001 – ია ჭელიძე
- 3110\001 – საქონლის მომწოდებლები
- 3110\001\001 – შპს სხივი
- 3110\001\002 – კომპანია Lee
- 3110\002 – შპს ალფა

**ანგარიშებისა და მათი საწყისი ნაშთების იმპორტი Excel ფაილიდან**
სწრაფი ზოლი / ანგარიშთა გეგმა (F9)

აღწერა

ანგარიშებისა და მათი საწყისი ნაშთების იმპორტი შესაძლებელია ერთიანად, Excel ფაილიდან. საკითხი დეტალურად არის განხილული ვებ გვერდზე:
http://gss.ge/SuperFin/Updates?version=2037

დასაიმპორტებელი ფაილის ნიმუში შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ:
https://gss.ge/Downloads/SuperFin/ImportForms/superFin_import_forms_amocanis_magaliti.xls

პრაქტიკული სამუშაო

ექსელის ფაილიდან, ქვემოთ მოცემული ქვეანგარიშების დაიმპორტებამდე, 1210, 3340, 4130, 6110, 7435 ძირითადი ანგარიშები გადააქციეთ საქაღალდედ (ქვეანგარიშების მქონედ). წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა ვერ მოახდენს

მათში შემავალი ქვეანგარიშების იმპორტს და გამოიტანს შეტყობინებას: *დასამატებელი ანგარიშის მფლობელ ანგარიშს (შესაბამისი ნომერი) ველში "გააჩნია ქვეანგარიშები" მითითებული აქვს 'არა'.*

Excel ფაილიდან დააიმპორტეთ შემდეგი ანგარიშები:

- 1210\001 – თიბისი ბანკი (საწყისი ნაშთი - 9000 ლარი)
- 3110\003 – შპს "ახალი ქსელები"
- 3110\004 – სს "თელასი"
- 3110\005 – შპს "ალია"
- 3110\006 – შპს "ავტო"
- 3321 - გადასახდელი დაგროვებითი პენსია
- 3340\001 – დღგ ადგილობრივ მომწოდებლებთან
- 3340\002 – დღგ ადგილობრივ მომწოდებლებთან ძირითადი საშუალებების მიხედვით
- 3340\003 – დღგ იმპორტის ოპერაციებზე
- 4130\001 – შპს "რონდო"
- 6110\001 – მასალების რეალიზაცია
- 6110\002 – პროდუქციის რეალიზაცია
- 6110\003 – ძირითადი საშუალებების რეალიზაცია
- 7121 - დაგროვებითი პენსიის დანარიცხი პირდაპირ ხელფასზე
- 7411 - დაგროვებითი პენსიის დანარიცხი შრომის ანაზღაურებაზე
- 7435\001 – სატელეფონო ხარჯი
- 7435\002 – ელ/ენერგიის ხარჯი

## საწყისი ნაშთების შეტანა ანგარიშებზე / ინსტრუქცია 01-02

სწრაფი ზოლი / SuperFin / ანგარიშთა გეგმა (F9)

<u>აღწერა</u>

მუშაობის დასაწყისში საჭიროა კომპანიის საწყისი ნაშთების შეტანა ანგარიშებზე, რითაც აქტივი და პასივი უნდა იყოს დაბალანსებული.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

- 5115 ანგარიშზე დაამატეთ საწყისი ნაშთი 9000 ლარი (კრედიტული);

## საბუღალტრო ოპერაციები / ინსტრუქცია 01-03

სწრაფი ზოლი/SuperFin/საბუღალტრო ოპერაციები (F4) ან სწრაფი ზოლი/SuperFin/ყველა საბუთი (F6)

<u>აღწერა</u>

'საბუღალტრო ოპერაცია' არის მარტივი ოპერაცია, სადაც მიეთითება მხოლოდ ანგარიშები და თანხა. აქ საჭირო არ არის რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითება. საბუღალტრო ოპერაციების მეშვეობით პროგრამაში ტარდება ხარჯის დარიცხვა, მომსახურების გაწევა, კლიენტის მიერ თანხის ჩარიცხვა და ა. შ.

<u>პრაქტიკული სამუშაო:</u>

საბუღალტრო ოპერაციების საშუალებით გაატარეთ შემდეგი ოპერაციები:

| | | |
|---|---|---|
| 21/01/2025 | შინაარსი – საქონლის რეკლამა<br>(აღწერა – გაზეთი "ალიას" მიერ გაწეული მომსახურება (ხარჯის დარიცხვა და გადახდა ანგ. ვალდ/პირის მიერ)) | 295 |

საბუღალტრო გატარებები: 7310 – 3110\005 250
3340\001 – 3110\005 45
3110\005 – 1430\001 295

| | | |
|---|---|---|
| 08/01/2025 | შინაარსი – თანხის კონვერტაცია<br>(აღწერა – ოფიციალური კურსი - 2.0, საბანკო კურსით 2.0182 შეძენილია 1100 ამერიკული დოლარი) | 1100 $ |

საბუღალტრო გატარებები: 1220\001USD - 1210\001GEL 1100$ (2220 ლ)

| | | |
|---|---|---|
| 08/01/2025 | შინაარსი – იმპორტირებული საქონლის ღირებულება – კომპანია "Lee"<br>(აღწერა – უცხოელ მომწოდებელს კომპანიას Lee გადაერიცხა საქონლის ღირებულება, ოფიციალური კურსით 2.0)) | 1100 $<br>(2200 ლ) |

საბუღალტრო გატარება: 3110\001\002 USD – 1220\001 USD

### საბუღალტრო ოპერაციების იმპორტი Excel ფაილიდან

სწრაფი ზოლი/SuperFin/საბუღალტრო ოპერაციები (F4)

აღწერა

საბუღალტრო ოპერაციების იმპორტი შესაძლებელია ერთიანად Excel ფაილიდან. საკითხი დეტალურად არის განხილული ვებ გვერდზე:
http://gss.ge/SuperFin/Updates?version=2037

დასაიმპორტებელი ფაილის ნიმუში შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ:
https://gss.ge/Downloads/SuperFin/ImportForms/superFin_import_forms_amocanis_magaliti.xls

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

Excel ფაილიდან დაიმპორტეთ შემდეგი საბუღალტრო ოპერაციები:

| | | |
|---|---|---|
| 30/01/2025 | ნომერი – 901<br>შინაარსი – ელ. ენერგიის ხარჯი – თელასი | 118 |

საბუღალტრო გატარებები: 7435\002 – 3110\004 100
3340\001 – 3110\004 18

| | | |
|---|---|---|
| 30/01/2025 | ნომერი – 902<br>შინაარსი – სატელეფონო ხარჯი – ახალი ქსელები | 23.60 |

საბუღალტრო გატარებები: 7435\001 – 3110\003 20
3340\001 – 3110\003 3.6

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | ნომერი – 903<br>შინაარსი – საიჯარო ხარჯი - შპს "რონდო" | 295 |

საბუღალტრო გატარებები: 7420 – 4130\001 250
3340\001 – 4130\001 45

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | ნომერი – 904<br>შინაარსი – საიჯარო ქირის გადახდა – შპს "რონდო" | 295 |

საბუღალტრო გატარება: 4130\001 – 1430\001

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | ნომერი – 905<br>შინაარსი – ქონების გადასახდის დარიცხვა | 5.25 |

საბუღალტრო გატარება: 7425 – 3390\002

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | ნომერი – 906<br>შინაარსი – მოგების გადასახადის დარიცხვა | 456.83 |

საბუღალტრო გატარება: 5330 – 3310

**შეტანილი ინფორმაციის კონტროლი:**

ფანჯარა 'ბრუნვა'
სწრაფი ზოლი/SuperFin/ბრუნვა (CTRL+B)

(პარამეტრები – ქართული ლარი, საბალანსო, ნაერთი)
პერიოდი 01/01/2025 - 31/01/2025

| ნომერი | დასახელება | საწყისი ნაშთი | დებეტური ბრუნვა | კრედიტული ბრუნვა | ბოლო ნაშთი |
|---|---|---|---|---|---|
| 1210 | ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 9000 | | 2220 | 6780 |
| 1210\001 | თიბისი ბანკი | 9000 | | 2220 | 6780 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1220 | უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 0 | 2220 | 2200 | 20 |
| 1220\001 | თიბისი ბანკი | 0 | 2220 | 2200 | 20 |
| 1430 | მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 0 | 0 | 590 | -590 |
| 1430\001 | ია ჭელიძე | 0 | 0 | 590 | -590 |
| 3110 | მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 0 | 2495.00 | 436.6 | 2058.40 |
| 3110\001 | საქონლის მომწოდებლები | 0 | 2200.00 | 0 | 2200.00 |
| 3110\001\002 | შპს LEE | 0 | 2200.00 | 0 | 2200.00 |
| 3110\003 | შპს ახალი ქსელები | 0 | 0 | 23.6 | -23.6 |
| 3110\004 | სს თელასი | 0 | 0 | 118 | -118 |
| 3110\005 | შპს "ალია" | 0 | 295 | 295 | 0 |
| 3310 | გადასახდელი მოგების გადასახადი | 0 | 0 | 486.98 | -486.98 |
| 3321 | გადასახდელი დაგროვებითი პენსია | 0 | 0 | 11 | -11 |
| 3340 | გადახდილი დღგ | 0 | 111.6 | 0 | 111.6 |
| 3340\001 | დღგ ადგილობრივ მომწოდებლებთან | 0 | 111.6 | 0 | 111.6 |
| 3390 | სხვა საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 0 | 5.25 | -5.25 |
| 3390\002 | ქონების გადასახადი | 0 | 0 | 5.25 | -5.25 |
| 4130 | ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე | 0 | 295 | 295 | 0 |
| 4130\001 | შპს "რონდო" | 0 | 295 | 295 | 0 |
| 5115 | საწესდებო კაპიტალი შპს-ში | -9000 | 0 | 0 | -9000 |
| 5330 | საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | 0 | 486.98 | 0 | 486.98 |
| 7121 | დაგროვებითი პენსიის დანარიცხი პირდაპირ ხელფასზე | 0 | 4 | 0 | 4 |
| 7310 | რეკლამის ხარჯები | 0 | 250 | 0 | 250 |
| 7411 | დაგროვებითი პენსიის დანარიცხი შრომის ანაზღაურებაზე | 0 | 7 | 0 | 7 |
| 7420 | საიჯარო ქირა | 0 | 250 | 0 | 250 |
| 7425 | სხვა საგადასახადო ხარჯი | 0 | 5.25 | 0 | 5.25 |
| 7435 | კომუნიკაციის ხარჯები | 0 | 120 | 0 | 120 |
| 7435\001 | სატელეფონო ხარჯი | 0 | 20 | 0 | 20 |
| 7435\002 | ელ/ენერგიის ხარჯი | 0 | 100 | 0 | 100 |

## II გაკვეთილი – მონაცემები, ანგარიშთა კავშირი მონაცემებთან (ხალხი, ბანკები, ორგანიზაციები), სალაროს ორდერები, საგადახდო დავალებები

### ბანკები / ინსტრუქცია 05-01

სწრაფი ზოლი / GSS მონაცემები / ბანკები (ALT+B)

აღწერა

ფანჯარაში 'ბანკები' იქმნება იმ ბანკების ჩამონათვალი, რომლებიც ემსახურება ჩვენს ორგანიზაციას, მომწოდებლებს ან კლიენტებს. შემდეგში, 'ფიზიკური პირებისა' და 'ორგანიზციების' ბარათებში მიეთითება მათი მომსახურე ბანკები, რაც ავტომატურად აისახება სხვადასხვა საბუთებში.

პრაქტიკული სამუშაო

შექმენით შემდეგი ბანკების ბარათები;

- ბანკი ქართუ (კოდი - CRTUGE22)
- თიბისი ბანკი (კოდი – TBCBGE22)
- ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური (ბანკის კოდი - TRESGE22)

### ხალხი / ინსტრუქცია 05-02

სწრაფი ზოლი / GSS მონაცემები / ხალხი (ALT+X)

აღწერა

ფანჯარაში 'ხალხი' იქმნება იმ ფიზიკური პირების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ საწყობის უფროსებს, განყოფილებების უფროსებს, მძღოლებს, უბრალოდ ჩვენი ორგანიზაციის ან სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებს.

პრაქტიკული სამუშაო

შექმენით შემდეგი ფიზიკური პირების ბარათები:

- ნანა გეგია
  - პირადი ნომერი – 02002002002
  - მისამართი – ჭონქაძის 25
  - მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ
  - სალარე ანაგრიში – 0000000000000000000011
- კაკო ლომიძე
  - პირადი ნომერი – 03003003003
  - მისამართი – გამრეკელის 155
  - მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ
  - სალარე ანაგრიში – 0000000000000000000022
- რეზო შელია
  - პირადი ნომერი – 07007007007

- მისამართი – რუსთაველის 44
    - მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ
    - სალარე ანაგრიში – 00000000000000000033
- ია ჭელიძე
    - პირადი ნომერი – 08008008008
    - მისამართი – პეკინის 51
    - მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ
    - სალარე ანაგრიში – 00000000000000000044

**ორგანიზაციები / [ინსტრუქცია 05-03]**
სწრაფი ზოლი / GSS მონაცემები / ორგანიზაციები (ALT+O)

<u>აღწერა</u>

ფანჯარაში 'სხვა ორგანიზაციები' იქმნება მომწოდებლების, მყიდველების და სხვა ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელთა რეკვიზიტებიც შემდეგში ავტომატურად გამოიყენება სხვადასხვა საბუთების შევსებისას.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

შექმენით შემდეგი ორგანიზაციების ბარათები:

**შპს "ალფა"**
*ჩანართი მონაცემები*

- იურიდიული დასახელება – შპს "ალფა"
- საიდენტიფიკაციო ნომერი - 202455611
- იურიდიული მისამართი - გულუას 5
- ფაქტიური მისამართი - ზესტაფონის 25

*ჩანართი საბანკო*

- მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ, ა/ა - GE28CR0990000000000001

**ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები)**
*ჩანართი მონაცემები*

- იურიდიული დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები)

*ჩანართი საბანკო*

- მომსახურე ბანკი – ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
- სალარე ანგარიში: 101001000 – გადასახადების ერთიანი კოდი

**შპს "სხივი"**
*ჩანართი მონაცემები*

- იურიდიული დასახელება – შპს "სხივი"
- საიდენტიფიკაციო ნომერი - 2024335551
- იურიდიული მისამართი - საბურთალოს ქ 20
- ფაქტიური მისამართი - საბურთალოს ქ 20

*ჩანართი საბანკო*

- მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ, ა/ა - GE28CR0990000000000003

**შპს "ივერია"**

*ჩანართი მონაცემები*

- იურიდიული დასახელება – შპს "ივერია"
- საიდენტიფიკაციო ნომერი - 12345678910
- იურიდიული მისამართი - ქავთარაძის 12
- ფაქტიური მისამართი - ქავთარაძის 12

*ჩანართი საბანკო*

- მომსახურე ბანკი – ბანკი ქართუ, ა/ა - GE28CR0990000000000002

**ჩვენი ორგანიზაციის მონაცემები / ინსტრუქცია 00-01**

ინსტრუმენტების ზოლი / ორგანიზაციის მონაცემები (ALT+M)

- დირექტორი – შელია რეზო
- მთ. ბუღალტერი – ლომიძე კაკო
- საკონტაქტო პირი – ჭელიძე ია
- თანამდებობა – მენეჯერი
- მომსახურე ბანკი – თიბისი-ბანკი, სალარე და სავალოტო ანგარიში – GE41TB0600000000000005,

**ავტოპარკი / ინსტრუქცია 05-04**

სწრაფი ზოლი / GSS მონაცემები / ავტოპარკი (ALT+A)

<u>აღწერა</u>

ფანჯარაში ‘ავტოპარკი’ იქმნება სატრანპორტო საშუალებების ჩამონათვალი, რომლებიც შემდეგში ავტომატურად მიეთითება საქონლის რეალიზაციის, დისტრიბუციისა და შიდა გადაზიდვის საბთების შევსებისას.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

შექმენით შემდეგი სატრანსპორტო საშუალებების ბარათები:

- სატრანსპორტო საშუალება – FORD
- ნომერი – NBA121
- მძღოლი – ჭელიძე ია

- სატრანსპორტო საშუალება – BMW
- ნომერი – MMM001
- მძღოლი – მამუკა ჯაში, პ/ნ 09009009009 – ეს პიროვნება დასამატებელია ხალხის ფანჯარაში

**ანგარიშზე მონაცემების დამატება / ინსტრუქცია 01-05**

სწრაფი ზოლი / SuperFin / ანგარიშთა გეგმა (F9)

<u>აღწერა</u>

‘ანგარიშებზე მონაცემების დამატება’ გულისხმობს ანგარიშების დაკავშირებას ‘ხალხისა’ და ‘სხვა ორგანიზაციების’ ფანჯრებთან, სადაც ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების ბარათებში შეტანილია მათი საიდენტიფიკაციო (პირადი) ნომრები, მისამართები, საბანკო ანგარიშები და სხვა რეკვიზიტები. ამ კავშირის საფუძველზე, სხვადასხვა საბუთებში ანგარიშის გამოყენებისას, ავტომატურად შეივსება საჭირო რეკვიზიტების ველები.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

შემდეგ ანგარიშებზე დაამატეთ მათი შესაბამისი მონაცემები:

- 1110 – ლომიძე კაკო (მოლარე);
- 1210\001 – ჩვენი ორგანიზაცია (სალარე ანაგრიში);
- 1220\001 – ჩვენი ორგანიზაცია (სავალუტო ანაგრიში);
- 1410\001 – შპს “ივერია”, სატრანსპორტო საშუალება BMW, გასაყიდი ფასის ტიპი ‘საბითუმო’;
- 1430\001 – ია ჭელიძე;
- 3110\001\001 – შპს “სხივი”;
- 3110\002 – შპს “ალფა”;
- 3310 – ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები);
- 3320 – ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები);
- 3330 – ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები);
- 3390\001 – ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები);
- 3390\002 – ხაზინის ერთიანი ანგარიში, საგადასახადო ინსპექცია (გადასახადები);

## სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები / ინსტრუქცია 02-01

სწრაფი ზოლი / ფული / შემოსავლის (SHIFT+F5) და გასავლის ორდერები (SHIFT+F6)

<u>აღწერა</u>

სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების გამოყენებით იქმნება სალაროში თანხების შეტანისა და გატანის ოპერაციები.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

შექმენით სალაროს შემდეგი ოპერაციები:

| | | |
|---|---|---|
| 02/01/2025 | შინაარსი – ბანკიდან სალაროში თანხის გამოტანა<br>(აღწერა – ოპერაცია შეასრულა ია ჭელიძემ პ/ნ 08008008008) | 2000.00 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება:  1110 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 21/01/2025 | შინაარსი – სარეკლამო მომსახურების საფასურის გადასახდელად<br>(აღწერა – თანხა გაცემულია გაცემულია ანგ/პირ. ია ჭელიძეზე) | 295.00 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება:  1430\001 – 1110

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | შინაარსი – საიჯარო მომსახურების საფასურის გადასახადელად<br>(აღწერა – თანხა გაცემულია გაცემულია ანგ/პირ. ია ჭელიძეზე) | 295.00 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება:  1430\001 – 1110

## საგადახდო დავალებები / ინსტრუქცია 02-02

სწრაფი ზოლი / ფული / საგადასახადო დავალებები (SHIFT+F2)

აღწერა

საგადახდო დავალებების გამოყენებით იქმნება საბანკო გადარიცხვის საბუთები. დღესდღეობით როცა თითქმის ყველა ორგანიზაცია გადარიცხვებს ახორციელებლს ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, ბანკის ოპერაციების შეტანა პროგრამაში შეიძლება უბრალოდ საბუღალტრო ოპერაციებითაც.

პრაქტიკული სამუშაო

საგადახდო დავალებების საშუალებით შექმენით შემდეგი საბანკო გადარიცხვები:

| | | |
|---|---|---|
| 03/01/2025 | ნომერი – 01<br>შინაარსი – საკერავი მანქანების ღირებულება<br>მიმღები – შპს “ალფა” | 1180.00 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\002 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 28/01/2025 | ნომერი – 02<br>შინაარსი – საშემოსავლო გადასახადი | 107.80 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3320 – 1210\001

## ბანკის ამონაწერის იმპორტი Excel ფაილიდან

სწრაფი ზოლი / SuperFin / საბუღალტრო ოპერაციები

აღწერა

‘ბანკის ამონაწერის იმპორტის’ საშუალებით შესაძლებელია ‘თიბისისა’ და ‘საქართველოს’ საბანკო ოპერაციების ერთდროულად დაიმპორტება პროგრამაში. იმპორტის ოპერაცია ხორციელდება ინტენეტბანკინგის პროგრამიდან ჩამოტვირთული ექსელის ფაილიდან. ეს საკითხი აღწერილია პროგრამის 2.038 განახლებაში:
http://gss.ge/SuperFin/Updates?version=2038

ასევე შეგიძლიათ იხილოთ ვიდეო ინსტრუქცია:
http://gss.ge/SuperFin/VideoInstruction

პრაქტიკული სამუშაო

‘ბანკის ამონაწერის იმპორტის’ საშუალებით დააიმპორტეთ შემდეგი საბანკო ოპერაციები:

დასაიმპორტებელი ფაილის ნიმუში შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ:
https://gss.ge/Downloads/SuperFin/ImportForms/tbc_gel_amocanis_magaliti.xls

| | | |
|---|---|---|
| 03/01/2025 | საწერი მაგიდების ღირებულება<br>(მიმღები – შპს “ალფა) | 70.8 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\002 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 15/01/2025 | მასალის ღირებულება (მიმღები – შპს "სხივი") | 480 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\001\001 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 15/01/2025 | მასალის ღირებულება (მიმღები – შპს "სხივი") | 38.4 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\001\001 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 15/01/2025 | იმპორტის ოპერაციაზე გადახდილი დღგ | 396 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3340\003 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 18/01/2025 | ტრანსპორტირების ღირებულება (მიმღები – შპს"ავტო") | 220.00 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\006 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 26/01/2025 | საქონლის ღირებულება - შპს "ივერია" (კლიენტმა გადმორიცხა საქონლის ღირებულება) | 4071 |

საბუღალტრო გატარებები: 1210\001 – 1410\001

| | | |
|---|---|---|
| 26/01/2025 | საქონლის ღირებულება - შპს "ლიდერი" (კლიენტმა გადმორიცხა საქონლის ღირებულება) | 4248 |

საბუღალტრო გატარებები: 1210\001 – 1410\002

| | | |
|---|---|---|
| 28/01/2025 | დაგროვებითი პენსია | 22 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3321 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 30/01/2025 | ელ. ენერგიის საფასური | 118.00 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\004 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 30/01/2025 | სატელეფონო მომსახურების საფასური (მიმღები – შპს "ახალი ქსელები") | 23.60 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3110\003 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | დღგ-ის გადასახადი | 457.96 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3330 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | ქონების გადასახადი | 5.25 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება: 3390\002 – 1210\001

| | | |
|---|---|---|
| 31/01/2025 | მოგების გადასახადი | 486.98 |

ავტომატური საბუღალტრო გატარება:  3310 – 1210\001

**შეტანილი ინფორმაციის კონტროლი:**

ფანჯარა ‘ბრუნვა’
სწრაფი ზოლი/SuperFin/ბრუნვა (CTRL+B)

(პარამეტრები – ქართული ლარი, საბალანსო, ნაერთი)
პერიოდი 01/01/2025 - 31/01/2025

| ნომერი | დასახელება | საწყისი ნაშთი | დებეტური ბრუნვა | კრედიტული ბრუნვა | ბოლო ნაშთი |
|---|---|---|---|---|---|
| 1110 | ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 0 | 2000 | 590 | 1410 |
| 1210 | ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 9000 | 8319 | 7826.79 | 9492.21 |
| 1210\001 | თიბისი ბანკი | 9000 | 8319 | 7826.79 | 9492.21 |
| 1220 | უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 0 | 2220.00 | 2200 | 20.00 |
| 1220\001 | თიბისი ბანკი | 0 | 2220.00 | 2200 | 20.00 |
| 1410 | მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 0 | 0 | 8319 | -8319 |
| 1410\001 | შპს ივერია | 0 | 0 | 4071 | -4071 |
| 1410\002 | შპს ლიდერი | 0 | 0 | 4248 | -4248 |
| 1430 | მოთხოვნები  საწარმოს პერსონალის მიმართ | 0 | 590 | 590 | 0 |
| 1430\001 | ია ჭელიძე | 0 | 590 | 590 | 0 |
| 3110 | მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 0 | 4625.8 | 436.6 | 4189.2 |
| 3110\001 | საქონლის მომწოდებლები | 0 | 2718.4 | 0 | 2718.4 |
| 3110\001\001 | შპს სხივი | 0 | 518.4 | 0 | 518.4 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3110\001\002 | Lee | 0 | 2200 | 0 | 2200 |
| 3110\002 | შპს ალფა | 0 | 1250.8 | 0 | 1250.8 |
| 3110\003 | შპს ახალი ქსელები | 0 | 23.6 | 23.6 | 0 |
| 3110\004 | სს თელასი | 0 | 118 | 118 | 0 |
| 3110\005 | შპს "ალია" | 0 | 295 | 295 | 0 |
| 3110\006 | შპს "ავტო" | 0 | 220 | 0 | 220 |
| 3310 | გადასახდელი მოგების გადასახადი | 0 | 486.98 | 486.98 | 0 |
| 3320 | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 0 | 107.80 | 0 | 107.80 |
| 3321 | გადასახდელი დაგროვებითი პენსია | 0 | 22 | 11 | 11 |
| 3330 | გადასახდელი დღგ | 0 | 457.96 | 0 | 457.96 |
| 3340 | გადახდილი დღგ | 0 | 507.6 | 0 | 507.6 |
| 3340\001 | დღგ ადგილობრივ მომწოდებლებთან | 0 | 111.6 | 0 | 111.6 |
| 3340\003 | დღგ იმპორტის ოპერაციებზე | 0 | 396 | 0 | 396 |
| 3390 | სხვა საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 5.25 | 5.25 | 0 |
| 3390\002 | ქონების გადასახადი | 0 | 5.25 | 5.25 | 0 |
| 4130 | ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე | 0 | 295 | 295 | 0 |
| 4130\001 | შპს "რონდო" | 0 | 295 | 295 | 0 |
| 5115 | საწესდებო კაპიტალი შპს-ში | -9000 | 0 | 0 | -9000 |
| 5330 | საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | 0 | 486.98 | 0 | 486.98 |
| 7121 | დაგროვებითი პენსიის დანარიცხი პირდაპირ ხელფასზე | 0 | 4 | 0 | 4 |
| 7310 | რეკლამის ხარჯები | 0 | 250 | 0 | 250 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7411 | დაგროვებითი პენსიის დანარიცხი შრომის ანაზღაურებაზე | 0 | 7 | 0 | 7 |
| 7420 | საიჯარო ქირა | 0 | 250 | 0 | 250 |
| 7425 | სხვა საგადასახადო ხარჯი | 0 | 5.25 | 0 | 5.25 |
| 7435 | კომუნიკაციის ხარჯები | 0 | 120 | 0 | 120 |
| 7435\001 | სატელეფონო ხარჯი | 0 | 20 | 0 | 20 |
| 7435\002 | ელ/ენერგიის ხარჯი | 0 | 100 | 0 | 100 |

## III გაკვეთილი – საქონელი, საწყობები, საქონლის მიღება

### საქონლისა და მასალების ჯგუფების დამატება / ინსტრუქცია 03-01

სწრაფი ზოლი / ვაჭრობა წარმოება / საქონელი და მასალები (ALT+SHIFT+S)

აღწერა

საქონლისა და მასალების ბარათების მსგავსების მიხედვით დაჯგუფების მიზნით სასურველია შეიქმნას ჯგუფები. ჯგუფი შეიძლება შეიცავდეს ქვეჯგუფებსაც.

პრაქტიკული სამუშაო

შექმენით საქონლისა და მასალების შემდეგი ჯგუფები:

- 001 – მასალები
- 002 – მზა პროდუქცია და საქონელი

### საქონლისა და მასალების ბარათების დამატება / ინსტრუქცია 03-02

სწრაფი ზოლი / ვაჭრობა წარმოება / საქონელი და მასალები (ALT+SHIFT+S)

აღწერა

საქონლის ოპერაციების (შეძენა, წარმოება რეალიზაცია და ა. შ.) აღრიცხვისათვის პირველ რიგში უნდა გაიხსნას საქონლის ბარათები. საქონლის ბარათში მიეთითება კოდი, დასახელება, ფასები, აღრიცხვის ანგარიშები და სხვა მონაცემები. საქონლის ბარათში მითითებული ანგარიშების საფუძველზე, სხვადასხვა ოპერაციების შესრულებისას პროგრამა ავტომატურად ახდენს საბუღალტრო გატარებებს.

პრაქტიკული სამუშაო

მასალების ჯგუფში შექმენით საქონლისა და მასალების შემდეგი ბარათები:

- კოდი – 001
- დასახელება – თეთრი ბამბის ქსოვილი
- ერთეული – მეტრი

- საბალანსო, არასაბალანსო ფასებში მიეთითება “1”
- ანგარიშები (საერთოა ყველა მასალისათვის)
    - საქონლის ანგარიში – 1620
    - რეალიზაციის ანგარიში – 6110\001
    - რ.პ.თ.-ის (რეალიზებული პროდუქციის ანგარიში) – 7110
    - ჩამოწერის ანგარიში – 7110

მასალების ჯგუფში დუბლირების საშუალებით შექმენით მასალების შემდეგი ბარათები:

- კოდი – 002
- დასახელება – წითელი ბამბის ქსოვილი

- კოდი – 003
- დასახელება – თეთრი ძაფი
- ერთეული – ცალი

- კოდი – 004
- დასახელება – წითელი ძაფი
- ერთეული – ცალი

‘მზა პროდუქციისა და საქონლის’ ჯგუფში შექმენით საქონლის შემდეგი ბარათები:

- კოდი – 001
- დასახელება – თეთრი მაისური
- ერთეული – ცალი
- შემადგენლობა:
    - თეთრი ბამბის ქსოვილი 1.5
    - თეთრი ძაფი 0.2
- გასაყიდი ფასები:
    - საცალო – 18.5
    - მცირე საბითუმო – 16.2
    - საბითუმო – 14.16
- არასაბალანსო განყოფილების ფასებში მიეთითება “1”
- საქონლის ანგარიში – 1640
- რეალიზაციის ანგარიში – 6110\002
- რ.პ.თ.-ის (რეალიზებული პროდუქციის ანგარიში) – 7110
- ჩამოწერის ანგარიში – 1630

- კოდი – 002
- დასახელება – წითელი მაისური
- ერთეული – ცალი
- შემადგენლობა:
    - წითელი ბამბის ქსოვილი 1.5
    - წითელი ძაფი 0.2
- გასაყიდი ფასები:

- ○ საცალო – 25
- ○ მცირე საბითუმო – 20
- ○ საბითუმო – 17.7

**‘გაურკვეველი’ საქონლის დამატება**

<u>აღწერა</u>

‘გაურკვეველი’ საქონლის ბარათი პროგრამაში გამოიყენება RS.GE-დან საბუთების ჩამოტვირთვის დროს. მაგალითად, თუ ჩამოტვირთვისას საბუთი შეიცავს საქონელს, რომლის ჩამოტვირთვაც პირველად ხდება, პროგრამა მას გაატარებს ‘გაურკვეველი’ საქონლის ბარათზე და შემდეგ საჭიროა მისი ჩანაცვლება საჭირო საქონლის ბარათით. ერთხელ ჩამოტვირთვის შემდეგ პროგრამა ამყარებს კავშირს და შემდეგში იგივე საქონლის ჩამოტვირთვის დროს პროგრამა მას უკვე გაატარებს შესაბამისი საქონლის ბარათზე.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

ყველა საქაღალდის გარეთ შექმენით საქონელი დასახელებით ‘გაურკვეველი’

- კოდი – არ არის საჭირო
- დასახელება – გაურკვეველი
- ერთეული – ცალი
- საბალანსო, არასაბალანსო ფასებში მიეთითება “1”
- ანგარიშები
    - ○ საქონლის ანგარიში – 1620
    - ○ რეალიზაციის ანგარიში – 6110\001
    - ○ რ.პ.თ.-ის (რეალიზებული პროდუქციის ანგარიში) – 7110
    - ○ ჩამოწერის ანგარიში – 7110

## საქონლის ბარათების იმპორტი Excel ფაილიდან

სწრაფი ზოლი / ვაჭრობა წარმოება / საქონელი და მასალები (ALT+SHIFT+S)

<u>აღწერა</u>

საქონლის ბარათების იმპორტი შესაძლებელია ერთიანად, Excel ფაილიდან. საკითხი დეტალურად არის განხილული ვებ გვერდზე:
http://gss.ge/SuperFin/Updates?version=2037

ნიმუში მონაცემების იმპორტირებისათვის მოცემულია ვებ გვერდზე:
https://gss.ge/Downloads/SuperFin/ImportForms/superFin_import_forms_amocanis_magaliti.xls

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

‘მზა პროდუქციისა და საქონლის’ ჯგუფში, იმპორტის საშუალებით დაამატეთ საქონლის შემდეგი ბარათები:

- კოდი – 003
- დასახელება – ჯინსის პერანგი
- ერთეული – ცალი

- გასაყიდი ფასები:
    - საცალო – 37.76
    - მცირე საბითუმო – 37.76
    - საბითუმო – 37.76
- ანგარიშები
    - საქონლის ანგარიში – 1610
    - რეალიზაციის ანგარიში – 6110\002
    - რ.პ.თ.-ის (რეალიზებული პროდუქციის ანგარიში) – 7210
    - ჩამოწერის ანგარიში – 7210

- კოდი – 004
- დასახელება – ჯინსის შარვალი
- ერთეული – ცალი
- გასაყიდი ფასები:
    - საცალო – 47.20
    - მცირე საბითუმო – 47.20
    - საბითუმო – 47.20
- ანგარიშები
    - საქონლის ანგარიში – 1610
    - რეალიზაციის ანგარიში – 6110\002
    - რ.პ.თ.-ის (რეალიზებული პროდუქციის ანგარიში) – 7210
    - ჩამოწერის ანგარიში – 7210

**საწყობები / [ინსტრუქცია 03-03]()**

სწრაფი ზოლი / ვაჭრობა წარმოება / საწყობები (ALT+SHIFT+T)

<u>აღწერა</u>

საქონლის შემოსავალ გასავალი, საწყისი და ბოლო ნაშთები შესაძლებელია აღირიცხოს სხვადასხვა ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით. ამისათვის საჭიროა პროგრამაში გაიხსნას საწყობები. საწყობის ბარათში მიეთითება მისი დასახელება, მისამართი, უფროსი. შესაძლებელია მიემაგროს სატრანსპორტო საშუალება.

<u>პრაქტიკული სამუშაო</u>

შექმენით შემდეგი საწყობები:

- დასახელება – მასალების საწყობი
- უფროსი - რეზო შელია
- მისამართი – საბურთალოს 42
- სატრანსპორტო საშუალება – FORD

- დასახელება – მზა პროდუქციისა და საქონლის საწყობი
- უფროსი – ნანა გეგია
- მისამართი – რობაქიძის 12
- სატრანსპორტო საშუალება – BMW

## Rs.ge სერვისის მომხმარებელი / ინსტრუქცია 06-01

აღწერა

Rs.ge ვებ პორტალზე სერვისის მომხმარებლის დამატება საჭიროა SuperFin–თან სინქრონიზაციის (საბუთების ატვირთვა, ჩამოტვირთვა, შედარება) დასამყარებლად.

პრაქტიკული სამუშაო

Rs.ge–ზე სატესტო ორგანიზაციის (მომხმარებელი – tbilisi, პაროლი - 123456) ვებ პორტალზე, მომხმარებლების მართვის ფანჯარაში, დაამატეთ სერვისის მომხმარებელი (ნებისმიერი სახელით და პაროლით) და შემდეგ მისი სახელი და პაროლი შეიტანეთ პროგრამაში, პარამეტრების ფანჯარაში (სერვისი / პარამეტრები / Rs.ge), სერვისის მომხმარებლის 'სახელისა' და 'პაროლის' ველებში.

## პარამეტრები

მენიუს ზოლი / სერვისი / პარამეტრები

აღწერა

პარამეტრების ფანჯარაში მიეთითება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რის მიხედვითაც შემდეგში პროგრამა ავტომატურად მოქმედებს. მაგ: დღგ–ის საპროცენტო განაკვეთი, დღგ–ის ანგარიშები და სხვა.

პრაქტიკული სამუშაო

- გადახდილი დღგ–ის ანგარიშის ველში მიუთითეთ 3340\001 ანგარიში;

## საქონლისა და მასალების მიღება / ინსტრუქცია 03-05

სწრაფი ზოლი / ვაჭრობა წარმოება / შემოსავლის ზედდებული (ALT+SHIFT+F3)

აღწერა

საქონლის მიღების (ადგილობრივი შეძენა და საქონლის იმპორტი) ოპერაციის გასატარებლად პროგრამაში გამოიყენება 'შემოსავლის ზედდებული'. იმპორტის ოპერაციის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ხარჯების გადანაწილება საქონლის თვითღირებულებებზე.
ადგილობრივი შეძენის (მიღებული სასაქონლო ზედნადების) ხელით შეტანის მაგივრად, შესაძლებელია მისი rs.ge-დან ჩამოტვირთვაც (მიღებული ზედნადებების ჩამოტვირთვის საკითხი განხილულია ვებ გვერდზე 2.035 განახლების საკითხებში http://gss.ge/SuperFin/Updates?version=2035).

პრაქტიკული სამუშაო

შეასრულეთ საქონლის (მასალების) მიღების შემდეგი ოპერაციები:

| | | |
|---|---|---|
| 05/01/2025 | ნომერი – 0240821326 (სასაქონლო ზედნადების ნომერი)<br>მომწოდებელი – შპს "სხივი"<br>საწყობი –მასალების საწყობი | |

| | | |
|---|---|---|
| | თეთრი ბამბის ქს - 500 მ (1მ – 0.60 ლ)<br>წითელი ბამბის ქს - 300 მ (1მ – 0.60 ლ) | 300.00ლ<br>180.00ლ<br>(დღგ-ის ჩათვლით) |

| | | | |
|---|---|---|---|
| საბუღალტრო გატარებები: | 1620 | – 3110\001\001 | 406.78 |
| | 3340\001 | – 3110\001\001 | 73.22 |

| | | |
|---|---|---|
| 05/01/2025 | ნომერი – 0240821348 (სასაქონლო ზედნადების ნომერი)<br>მომწოდებელი – შპს "სხივი"<br>საწყობი – მასალების საწყობი)<br>თეთრი ძაფი - 80 ც (1ც – 0.24 ლ)<br>წითელი ძაფი - 80 ც (1ც – 0.24 ლ) | 19.20ლ<br>19.20ლ<br>(დღგ-ს ჩათვლით) |

| | | | |
|---|---|---|---|
| საბუღალტრო გატარებები: | 1620 | – 3110\001\001 | 32.54 |
| | 3340\001 | – 3110\001\001 | 5.86 |

| | | |
|---|---|---|
| 15/01/2025 | ნომერი – A1345 (საბაჟო დეკლარაციის ნომერი)<br>შინაარსი – ავტომატურად ეთითება<br>მომწოდებელი – "LEE" (უცხოელი)<br>საწყობი – საქონლისა და მზა პროდუქციის საწყობი,<br>დოლარის კურსი განბაჟების დღისათვის – 2.0)<br>ჯინსის პერანგი – 50 ც (ერთ ფასი 10$)<br>ჯინსის შარვალი – 50 ც (ერთ ფასი 12$)<br>დამატებითი ხარჯები (გადანაწილება თანხით):<br>– სატრანსპორტო მომსახურება (შპს "ავტო") | 500.00$ (1000ლ)<br>600.00$ (1200ლ)<br><br>220 ლ |

| | | | |
|---|---|---|---|
| საბუღალტრო გატარებები: | 8291\999 | – 3110\006 | 186.44 |
| | 3340\001 | – 3110\006 | 33.56 |
| | 1610 | – 3110\001\002 | 2200.00 |
| | 1610 | – 8291\999 | 186.44 |

**შეტანილი ინფორმაციის კონტროლი:**

სწრაფი ზოლი / ვაჭრობა წარმოება / საქონლის მოძრაობა ALT+SHIFT+F9

პერიოდი 01/01/2025 - 31/01/2025

| კოდ ი | დასახელება | განზომი ლება | წ ო ნა | საწყისი ნაშთი | შემოსავლები | გასავლები | ბოლო ნაშთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

| | | | | რაო დ | თანხა | რაოდ | თანხა | რაო დ | თან ხა | რაოდ | თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 001 | მასალები | | | | | 960 | 439.32 | | | 960 | 439.32 |
| 001 | თეთრი ბამბის ქსოვილი | მეტრი | 1 | | | 500 | 254.24 | | | 500 | 254.24 |
| 002 | წითელი ბამბის ქსოვილი | მეტრი | 1 | | | 300 | 152.54 | | | 300 | 152.54 |
| 003 | თეთრი ძაფი | ცალი | 1 | | | 80 | 16.27 | | | 80 | 16.27 |
| 004 | წითელი ძაფი | ცალი | 1 | | | 80 | 16.27 | | | 80 | 16.27 |
| 002 | მზა პროდუქცია და საქონელი | | | | | 100 | 2386.44 | | | 100 | 2386.44 |
| 001 | თეთრი მაისური | ცალი | 1 | | | 0 | 0 | | | 0 | 0 |
| 002 | წითელი მაისური | ცალი | 1 | | | 0 | 0 | | | 0 | 0 |
| 003 | ჯინსის პერანგი | მეტრი | 1 | | | 50 | 1084.75 | | | 50 | 1084.75 |
| 004 | ჯინსის შარვალი | მეტრი | 1 | | | 50 | 1301.69 | | | 50 | 1301.69 |
| | გაურკვეველი | ცალი | 1 | | | 0 | 0 | | | 0 | 0 |

## IV გაკვეთილი – პროდუქციის წარმოება, შიდა გადაზიდვა, რეალიზაცია

